ხელშეკრულება № 17

სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები

(კოდი 50100000)

ქ. თბილისი 6 მარტი 2018 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (შემდგომში - „შემსყიდველი") მისი თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის სახით და მეორე მხრივ შპს „აუტო ვორლდ AVTO WORLD" (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი დირექტორის თორნიკე მიმინოშვილის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები, კერძოდ **HYUNDAI Elantra**-ს მარკის მსუბუქი ავტომანქანის შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევა.

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

2.1 ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების სამუშაოს შესყიდვა ხორციელდება ერთ ერთეულ **HYUNDAI Elantra** -ს მარკის მსუბუქი ავტომანქანაზე სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში, მრავალჯერადად, 1800 ლარის საერთო ღირებულებით.

2.2 ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 1800 ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების სამუშაო განხორციელდება ყოველი კონკრეტული მომსახურების შემთხვევაში „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის ჩარიცხვამდე, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოები გაფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციით.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2 ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

7.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 31 დეკემბრისა.

10. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	შპს "ავტო ვორლდ AVTO WORLD"
საიდენტიფიკაციო კოდი 205349979	საიდენტიფიკაციო კოდი: 405017235
ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას №7	მისამართი: თბილისი, კაიროს ქ. 26
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: TRESGE 22	ა/ა: GE89BG0000000492044900
---	---
თავმჯდომარე	დირექტორი
გიორგი ალიბეგაშვილი	თორნიკე მიმინოშვილი